

ზოოტექნიკოსი

(მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეზოცვრეობა, მეფრინველეობა)

პროფესიის თავისებურებები. ზოოტექნიკოსი (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეზოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.) მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების მომსახურეობის სისტემასთან. ზოოტექნიკოსი პროფესია გულისხმობს მეცხოველეობის და მეფრინველეობის სფეროში საქმიანობას. მისი უშუალო მოვალეობაა სანაშენე ობიექტებზე მდგომარეობის



შესწავლა, გაანალიზება და სასელექციო პროგრამის შემუშავება. სხვადასხვა სახეობისა და ჯიშის ცხოველების და ფრინველის ექსპერტიზა. აგრეთვე, მას ევალება სხვადასხვა სახეობის, ასაკის და ფიზიოლოგიური მდგომარეობის ცხოველებისა და ფრინველისათვის კვების ულუფების შერჩევა და კვების რეჟიმის დაცვა. საკვების საშუალებების შეფასება და კვებისწინა შემზადება. ფურის/ნერბის/ნეზვის/დედალი თხის, კვერცხმდებლის

მოვლა და მოზარდის გამოზრდის უფრო ეფექტური მეთოდების გამოყენება, სარძეო, მეხორცული და მეკვერცხული პროდუქტიულობის და ზრდის კონტროლი, აგრეთვე სათანადო აღრიცხვის წარმოება.

მნიშვნელოვანი თვისებები. ზოოტექნიკოსს პირველ რიგში უნდა უყვარდეს ცხოველები, იყოს ყურადღებიანი და კომუნიკაბელური.

ცოდნა და უნარები. ზოოტექნიკოსი უნდა ფლობდეს ზოგადი და კერძო ზოოტექნიკის საფუძვლებს, უნდა ჰქონდეს ცოდნა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველის ჯიშებზე, მათ ანატომიურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე. ასევე, იგი უნდა ფლობდეს უცხო ენასა და სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებს.

სამუშაო ადგილი. ზოოტექნიკოსი შეიძლება დასაქმდეს მეცხოველეობის ფერმებში, მეფრინველეობის საწარმოებში, სანაშენე მეურნეობებსა და სამომშენებლოებში.

განათლება. ამ პროფესიას შეიძლება დაეუფლო პროფესიულ სასწავლებლებში, ასევე, კოლეჯებში.